



მეცემსი

მეყემსან კვილიან სული
თვისი დასდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11

№ 22

1883—1907 წ.

30 ნოემბერი

1919
1898
921

ქ. ყოვლად საამღვდლო ეპისკოპოზი ალექსანდრე.
(ნეკროლოგი).
1898

16-ს ამა ნოემბერს ყ-დ სამღვდლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მიიძინა მისგან განახლებულ შიომღვიმელის უდაბნოში.

ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე დაიბადა 1824 წელს. მას მონათვლის დროს სახელად ალექსი დაარქვეს. იმისი მამა დავით ოქროპირიძე მღვდლად მსახურებდა გორის მაზრის ერთს სოფელში. ალექსის სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ ალექსი ოქროპირიძე აღიკვეცა ბერად, და სახელად ალექსანდრე უწოდეს. მთავარ-დიაკონის ხარისხით ის გაემგზავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დასამთავრებლად. სასულიერო კურსის დამთავრების შემდეგ მთავარ-დიაკონი ალექსანდრე მღვდელ-მონაზონად აკურთხეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალ გავრდა მღვდელ-მონაზონი აფხაზეთში გავაზუნეს და შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იქმნა დანიშნული. 1855 წელს აკურთხეს ილუმენად, — ალექსანდრე იქმნა და იხვე აფხაზეთში იქმნა აფხაზეთში. 1862 წელს ხელ-დასმულ იქმნა მღვდელთ-მთავრად თბილისის სიონის ტაძარში ექსარხოვის ფსევის მიერ სხვა მღვდელთ-მთავრების განამწერელობით. მას ჩაბარდა აფხაზეთის კათედრა. 1869 წელს გადმოყვანილ იქმნა ტფილისში გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ექსარხოვის პირველს ქორ-ეპისკოპოსად, 1882 წლიდან 1886 წლამდის მართავდა გურიის ეპარქიას და შემდეგ

ისევ დაბრუნდა ტფილისს თვისსავე თანამღვდლო-ზედ.*)

ყოვლად-სამღვდლო ალექსანდრე ხშირად საქართველოს ექსარხოვის მაგივრობასაც სწევდა. როდესაც ექსარხოვები დროებით რუსეთს წაივლიდნენ, „პრაგონს“ მიიღებდნენ, ქართლ-კახეთის ეპარქიას ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე განაგებდა; ოგივე თავმჯდომარეობდა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურს კანტორაში. მას აქვს მიღებული მრავალი ორდენი. 15 მაისს 1893 წელს უმაღლესად ებოძა მას ხელმწიფე იმპერატორისაგან ძვირფასის თვალ-მარგალიტით შემკული „გულზედ დასაკიდი“ — პანაგია — ერთად უმაღლესს „წვლდის წერადთან“ („რუსკრინტი“). ყოვლად-სამღვდლო ალექსანდრეს მრავალ გზის მადლობა აქვს მიღებული ხელმწიფე იმპერატორისა, მისის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, ლოკვა-კურთხევა და მადლობა უწმიდესის სინოდისა და სხ... ყოვლად-სამღვდლო ალექსანდრე წვერი იყო მრავალ საქველ-მოქმედო საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელნიც კი

*) რიონის საღვთო ერთად შეხედენ ალექსანდრე და ბესარიონი მიმავალი თბილისში, რადგან უქაზით გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშნა არხიმანდრიტი გვიგორი და ყ-დ სამღვდლოს ალექსანდრეს და ბესარიონსაც არ მისცეს საკუთარი ეპარქია. შესანიშნავი სიტყვები წარმოსთქვა სახალხოდ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სინოდის მოქმედებაზე. თბილისში უმეტესი ცხარე სიტყვები მოახსენა ექსარხოვს პავლეს. არ დაუფარავს ექსარხოვისათვის, და პირ და პირ უახრა მას: „შენ განგებ ჩაიღინე ესეთი უკანონო შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ გურია სამეგრელოს ეპარქიის დაკლესიები და სამღვდლოება უმეტესად დადგომადობისა ვა პასუხი უნდა აიღო ღმერთს, რომელიც შევადგამ ამ თქვენს უჯჯაო მოქმედებას.“

რუსეთის სახელმწიფოში არსებობენ. რუს-ოსმალეთის ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის გმირთა და მათ დაობლებულ სახლობათა სასარგებლოდ ყოვლად-სამღვდელო აღექსანდრე სწირავდა ყოველ წლებით 200 მანეთს. მანვე განაახლა ქ. სოხუმის ახლოს ძველი ეკლესია მისასახნებლად იმპერატორის აღექსანდრე მეორის სასწაულებრივის გადარჩენისა 4 აპრილს 1866 წელსა. 25 მაისს 1867 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიას შესწირა 2,000 მანეთი მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის სახელმძაზვდ. ამ თანხით იზრდება სემინარიაში ერთი სტიპენდიატი, რომელსაც თვით ყოვლად-სამღვდელო ირჩევს. ყაზანის სასულიერო აკადემიის დარბი სტუდენტების სასარგებლოდ 300 მანეთი შესწირა; ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელს კი—3,000 მანათი მასში სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის დიდებულს თორმეტის მოციქულის საკრებულო ტაძარს შესწირა განსახლებულად 1,500 მანეთი და ამავე ტაძრის განმარსებელი კომიტეტის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა. ყოვლად-სამღვდელო აღექსანდრემ განაახლა ჯვარის ეკლესია მცხეთის აღმოსავლით, განაახლა თვისს სამშობლო სოფელში ძველი ეკლესია, ლეკებისაგან დანგრეული. მან 2,000 მანეთი ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადასაღებად გადასწრა. წირვა ლოცვის გალობა კიდევ გადაღებულ იქმნა ნოტებზედ ბ. იპპოლიტოვი-ივანოვის მიერ და მოწონებულ იქმნა სასულიერო მთავრობისაგან. მანვე გამოსცა თავის საფასით საუკეთესო ნაშთები ძველის ქართულის მწერლობისა: „მზამეტყველება“ ანტონ ქათალიკოზისა, საბასულხან ორბელიანის „ლექსაკონი“, „ხმა ცოდვილისა ღვთისადმი“, ბ. ავალივილისა, ანტონ ქათალიკოზის „სწორ-მეტყველება“, ამბროსი ნეკრესლის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ და სხვ... ყოვლად სამღვდელომ დიდი სამსახური გაუწია ქართულის დაბადების შესწორებას და დაეწევისა საქმეს. ყოვლად-სამღვდელო აღექსანდრემ განაახლა დიდებული მონასტრები, წმ. შიოსი და იოანე ზედანწელისა,—პირველს 21,000 და მეორეს—11,700 მანეთი შესწირა. ეს თანხა ხელ-უღლებლად დადებულია სახელმწიფო ბანკში და სარგებელი ეძლევა მონასტრთა შტატში მყოფ მშათა სარჩოდ.

აღექსანდრე ეპისკოპოსის ნაშთის დაგრძობა.
მათი მეუფების დაკრძალვა მოხდა დღით ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, შიო მღვიმის მონასტრში. აღექსანდრე ეპისკოპოსის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ დებუტატიები სხვა და სხვა კუთხიდან. ზოგი წინა დღით მისულა. ზოგი დღით. მწირველი იყო ალავერდის ეპისკოპოსი დავითი აუარებელ სამღვდელოების თანა მწირველობით. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელი: ქალაქებიდან, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებულ საზოგადოებებსა, საისტორიო-საეტნოგრაფიო, ფილარმონიულ და საქველმოქმედო საზოგადოებათა, თვად-აზნაურობისა, ქართულ გიმნაზიისა, ქალთა საეპარქიო სასწავლებლისა, სასულიერო სემინარიისა, წვრილ ვაჭართა კავშირისა იმერეთისა და ქართლის სამღვდელოებისა, და სხვათა. სიტყვები წარმოთქვეს: ახლად ნაკურთხმა ალავერდის ეპისკოპოსმა დავითმა, წ. კ. ს. წარმომადგენელმა ბ-ნ რატიშვილმა, მღვდ. გ. გამრეკელმა, პ. კარბელაშვილმა, არქიმანდრიტმა ამბროსიმ, ი. ცინცაძემ, კეკელიძემ, მასწავლებელმა ი. ფერაძემ, გორგაძემ, დეკ. ნ. თალაქაძემ დეკ. ცინცაძემ და სხვებმა. განსვენებას დაესწრო ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდანაც.

დეკანოზმა ნ. თალაქაძემ წარმოსთქვა თმენე-განსობათ სასვე შესამწევისიტუება:

ჩვენს ლაყვარლოვან სამშობლო ცას ზედი-ზედ სწყდელ და ისტორიის უსაზღვრო სივრცეში ცვერე წარსულ საუკუნის მისი მნათობნი, ქართველ ერის ქირისუფალნი, მომღვლე-პატრონი...

ჩვენმა სამშობლომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკურ—საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ პირობებში ჩასდგა ფეხი. ჩვენი ქვეყნიბედ-იღბალი, მისი მართვა-გამგეობა ერთ მორწმუნურსეთის ხელში გადავიდა; გარნა ახალმა მთავრობამ, ახალმა მხრუნველებმა თავისებურად შეხედეს თვისს მისისას საქართველოში და ამიტომ იწყეს ჩვენი ქვეყნის წეს-წყობილების თავიანთ გემოზ გარდაქმნა, ჩვენი ერის სუფას განწყობილების, მისათვის წლობით შემუშავებულ კულტურის რუსულ დარიჯაკში ჩამოყალიბება; ყველგან და ყველაფერში ჩამოერთვა ჩვენს ერს ინციტიცია, შესწყდა მისი შემოქმედებითი ნიჭის თავისუფალი ვარჯიშობა. ჩვენმა ერმა ისტორიულად მიიძინა; გარნა ეს ძილ



თუ ის ხანგრძლივ—საღათას ძილად გარდაიქცეოდა, უქადა ზენს ერს ეროვნულ სიკვდილს, ეროვნულ გადაშენებას.

მაგრამ, არა,—ქართველმა ერმა, იმავ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში შესძლო წამოეყენებია მთელი წყება, მთელი რიგი თვის აწ სასიქადულო შეიღთა, რომელნიც არ დაიბნენ სამშობლო ისტორიის ახალ ხანაში; მათ კარგად შეიგნეს და ერსაც შეეადგინეს, რომ საქართველომ მოსკომა გმირობის ხანა, როდესაც ის ხმოთი ხელში განუწყვეტლივ იგერიებდა ყოველ მხრდგან შემოსეულ ურჩევ მტერს და დადგა ხანა კულტურულ ბრძოლისა; ამ ბრძოლისათვის ანგარიშის გასაწევად კი საქიროა სწვა იარაღი,—იარაღი მეცნიერებისა—სწავლა—აღზრდა— განათლება; საქიროა ამ იარაღით ისე აღიჭურვოს ქართველი ერი, როგორც ის წინეთ თავით ფეხებამდის იყო ჩამჯდარი ხმალ-ღამბაზა-ფარჩაჩქაში და მტერს მებრთი თავს ეცემოდა...

ქართველ ერის ასეთ ქადაგთა, ქართველ ერის თვით-გნობიერებაში მამყენხთა გუნჯს ეკუთვნოდა აწ განსვენებული ყ-დ სამღვდლო აღექანდრეც.— საქართველოს ჰყავდა მეფე დავით აღმაშენებელი, იმავ საქართველოს დაბეჭადებულ ეკკლესიის აწ ჰყავს მღვდელმთავარი აღექანდრე—აღმაშენებელ-განმახლებელი! აფხაზეთიდან დაწყებული ზენს სამშობლოში არ არის ისეთი ცოტად-თუ ბევრად ზენს ისტორიაში ცნობილი საყდარ-მონასტრები, რომელთა აღშენება-განახლებისათვის არ მიექციოს განსვენებულს ჯგროვანი ყურადღება და უხვი შეწირულებით არ გაემშენებინოს და არ გადაერჩინოს განადგურებისაგან. აი, თვით ათ-კამეტ სირიელ მამათაგანის ღირსი შიოს სავანე, სადაც განსვენებულმა უკანასკნელად აღმოიფივნვა და ჩააბარა თვისი სული მაცხოვარს,—ეს გამშენებულ-აღდგენილი სავანე—ყ-დ უსამღვდლოესი აღექანდრეს უხვი შეწირულების, მამობრივი მზრუნველობის ნაყოფი!.

მოვიგონოთ ყ-დ სამღვდლოს საფასით განახლებულნი ზედა-ზნის მონასტერი, ჯვარის ეკკლესია მცხეთაში, დავით გარეჯის მონასტერი, თვით მცხეთის ათ-ორმეტ მოციქულთა დიდი ტაძარი, რომლის განახლებას მან ჩაუყარა საძირკველი თვისი უხვი შეწირულებით; მოვიგონოთ ის შეწირულებაც, რომელიც ამ ცოტა ხანში გადასდო განსვენებულმა ქართველ პირველ ქრისტიან მეფე მირიანისთვის

ძველის ასაგებად და მრავალი სხვა.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა განსვენებული ქართულ მწერლობის ძველ ხელთნაწერ ნაწარმოებთა დაბეჭვდა-გამოცემას, რომელსაც მოახმარა დიდ-ძალი საფასი და მით კეთილი მაგალითი მისცა სხვა ქველ მოქმედთ—განაგრძონ ეს კულტურული საქმე განსვენებულისა.

მოვიგონოთ მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზრუნვა განსვენებულისა, მას რამდენიმე სტიპენდია აქვს დაარსებული სასულიერო სასწავლებელში, სემინარიაში თუ დედათა ებარქიალურ სასწავლებელში; რამდენ ღარიბ მოწავისთვის შეუმსუბუქებია განსვენებულს სწავლა-განათლების მიღება!...

ქველ-მოქმედებითი სიუხვე განსვენებულისა ფრიად საგულისხმობა და შთამომავლობისათვის მისაბაძი. იმისი უბრალო, და ქეშმარიტი ბერული ცხოვრება, იშვიათი მოვლენა-ლაა ზენს ფუფუნების დროში; თვითონ ეძღვოდა მოთმინებას, მარხულობას, ხარჯავდა თვის-თავზე სულ ცოტას, რომაც შეიძლება მეტი საქველ-მოქმედო საქმე შეესრულებია.

ზენსთვის, განსვენებული ყ-დ უსამღვდლოესი აღექანდრე მეცხრამეტე საუკუნის ცოცხალ მატინანეს წარმოადგენდა,—დიბადა რა წარსულ საუკუნის თითქმის დასაწყისში, განსვენებულმა მხენდ გადმოლახა მეოცე საუკუნის პირველი წლები;—ის მოწამე ვახდა უკანასკნელი წლების მძლავრ მოძრაობისა მთელს იმპერიაში; იმან თავისი თვალით დაინახა, რომ ქართველი ერიც არ ჩამორჩენია ქვეყნიერებას, მას მრავალ-ფერი და მრავალ-შინაარსიანი განვითარება მიუღია, რომ ისიც მძლავრად ჩაბმულა კაცობრიობის წინ სელის ფერხულში თვისის საკუთარი ღირსებებით და ნაკულულოვანებით...

განსვენებული თვის ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში მოწამე იყო ივერიის ეკკლესიის დაქვეითებისა, დამცირებისა, ივერიის მწყემს-ცხოვართა ერთმანერთზე დაშორებისა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველ ერის სარწმუნოებრივი განელ-თბილგება. შიგა და შიგ სარწმუნოებრივი გავერანგებაც.—ხედვიდა ყოველივე ამას განსვენებული, გული უკვდებოდა—ემღურებოდა; მაგრამ უღონო იყო შებრძოლებოდა რკინის ჯაჭვებით შემოპილ მღვამობრობას.—სწორედ იმ დროში, როდესაც განსვენებულს მწყემს-მათერული მოღვაწეობის მხენდ სამსახური შე-

ქლო, ის სასულიერო მთავრობას ქორ-ებისკობაზედ ჰყავდა სიონის ტაძრის ეზოში დაყენებული, მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩვენი ერის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩარეოდა, თუმცა, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, თამამად და მოურიდებლად ამხილებდა და ჰკომბდა ყოველივე ცულ მხარეებს ჩვენის ცხოვრებისას; ის ასეთ შემთხვევაში, მოციქულ ჰავლეს მცნებისამებრ, არ დაგვივდა არც დროს, არც ადგილს, არც ძლიერთა ამა სოფლისათა...

არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ის ოთხიოდე წელიწადი, რომლის განმავლობაში განსვენებულს მინდობილი ჰქონდა გურიის ეპარქიის მმართველობა. ამ ოთხიოდ წელიწადს—თვის ხანგრძლივ სიცოცხლის საუკეთესო ხანად სთვლიდა განსვენებულნი! ის სიმამრეებით და თან თვალ-ცრემლიანი მოიგონებდა ხოლმე თუ როგორ შეეტკბო— შეუქავშირდა ის პატარა გურიის სამწყსოს, თუ შემდეგ როგორ გათიშულ იქმნა მწყემსი სამწყსოსაგან— როდესაც გურიის ეპარქია გააუქმეს, გურია-სამეგრელოს ეპარქია შექმნეს და ამ ეპარქიას დაუყენეს ეპისკოპოზად გრიგოლ დადიანი, ხოლო ყ-ღ სამღვდლო აღექვანდრე კვლავ თბილისში დაბარუნეს ისევ ქორებისკობაზედ.

ჩვენმა სასულიერო მთავრობამ მხოლოდ ღრმა მოხუცებულობის დროს მიანდა განსვენებულს სვენებულნი ეპარქია. მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთ მდგომარეობაში დახვდა ყ-ღ სამღვდლო აღექვანდრეს, რომ იმისი მართვა-გამგეობა, წესიერებაში მოყვანა აღმეტებოდა მის მოხუცებულ ძალ-ღონეს. ამიტომ ეპარქიის სვენებდი ფაქტიურად ზელოთ ეყრათ ისევ ბიუროკრატიულ ეპარქიალურ კანცელარიის დამკაშვებს და თითქმის იმავ და ისეთ პირობა, რომელთაც გრიგოლ ეპისკოპოსის დროს გააძვალტყავეს ეპარქიის სამღვდლოებაც და სამწყსოც...

ღრმა მოხუცებულნი ეპისკოპოზი ბოროტ ადამიანთ ხშირად შეჰყავდათ შეცდომაში; პატივცემულ ეპისკოპოზის ზურგს უკან ამოფარებული ბნელი ძალები, პირად ინტერესებით დაბრმავებულნი, სასულიერო თუ საერო პირნი, ერთმანერტოს თითქოს ეგვიბრბოდენ უკანრობის და უზნეობის ჩიდენაში, — ეპისკოპოსს-კი აჩვენებდენ თავს როგორც უერთგულენსი მისი მსახურნი და იგივეთი „სახოგადლო მოღვაწენი“ ნამღვილა-ღი იგივე ცრულ სახოგადლო

მოღვაწენი აშკარად დასცინოდნენ მოხუცის გულუხვობას, მისს უსაზღვრო ნდობას, მისს უსაზღვრო გულ-კეთილობას— ამისდა მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსტკვათ, რომ ზნეობრივ სიფაქიზეს განსვენებულისას ოდნავდაც არ მიჰკარებია რაიმე ქუქუკი, ის სამწყსოს თვალში ისევ ძვირფასი, ისე სათაყვანებელი და სასოების მომგვრელი მღვდელმთავარი იყო...

ამ უკანასკნელ სამ წელს განსვენებულ განდევნილობად შოის წმინდა საფანეში, სიღნაღზე ბეჯითად თვალ-ყურს ადევნებდა ის ჩვენი ქვეყნის აგ-კარგსა. განსვენებულის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა წამოყენებული ქართველთ საეკლესიო საკითხი— იფრთხილ კვაკვასის დამოუკიდებლობას, თვით-გამორგვევის უფლებების ადგენას, რომ მით, ერთხელ მორწმუნედ ცნობილი, ქართველი ერი კვლავ შემოტარებს თვისს ეკლესიის გარშემო, დაუბრუნდეს ქრისტიკს სხასრფების მოძღვრებას, რომელსაც ჩვენი ერი, და არა ჩვენი მხოლოდ, ასე ხელოვნურად ჩამოშორებულ იქმნა და თან და თან უფრო შორდება...

მოხუც-განდევნილის სული აღაშფოთა სასიქადულლო მგონის და ადამიანის— ილიას— ვერაგულმა სიკვდილმა. მოხუცს გულმა აღარ მოუთმინა, მოიკრიბა უკანასკნელი თვისი ძალი-ღონე და პატივისცა დიდებულ მამულიშვილს— უსისხლო მსხვერპლის შეწირვით, საღლაფის პირზე მიცილებით და მამობრივ ცრემლებების დატოვებით.— ესოა კი თვით განისვენა! — შეუერთდა სულმნათ დიდებულ წინაპართ, რომ მათთან ერთად შეადევროს ღვთის შშობელს წილხლომილი— დღეს გადაბუგულ— აკლებულ— დამშეული მისი საქართველო, — გვაქვიათ ამდენი ტანჯვა— ვაგბა, გადმოგვხედოს თვისის დედობრივი მზრუნველობით, აღგვიღვინოს შშობელი ეკლესია, რათა ერთითა პირითა და ერთითა გულითა ღირსებით ვაღიდებდეთ ძესა მისსა და უფალსა. ჩვენსა იესო ქრისტესა. ამინ.

დეკანოზმა კალისტრატე ცინცაქიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

მეუფეო წმიდაო! ეს უამარი ხალხი, რომელიც გარს ახვევია ჯერ კიდევ გაუციებელს შენს ცხედარს და მოელის შენგან უკანასკნელს ლოცვა-კურთხევას, შეუტარებია აქ ნათელსა საქმელსა შენთა კეთადას, რომელთა შენს სიცოცხლეში უფვდ სთესიდი, მწყემსო კეთილი. მიკარამ ამა საქმეთა ჩა-

მოთვლით მე არა მსურს შენი შეწყუბება: შენ არ გიყვარდა შენს საქმეებზე ლაპარაკი. მე ვკადნიერდები და მოვადგინებ შენთ პატივის მცემელთ ერთ მხარეს შენის მოღვაწეობისას, სახელდობრ, — შენს ზრუნვის ბერ-მონაზონობის განახლებისათვის ჩვენში.


მართალია დღეს ბერ-მონაზონობას პატივი აღარა აქვს საზოგადოების თვალში, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ მონაზონობის უმეტესობამ უღალატა თავის პირდაპირ დანიშნულებას. დღეს თუ მონაზონობის უმრავლესობას შეადგენენ უსაქმოდ-ცხოვრების მოყვარენი, წინააღმდეგ როდი იყო. წინააღმდეგ მონაზონობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა სინონიმები იყვნენ. წინააღმდეგ თუ სტოვებდა დღეს და მამას, დებსა და ძმებს, სახლ-კარს და მეზობლებს და მიდიდა მონასტერ-უღაბნოში, იგი ამ შემთხვევაში თავის თავისთვის როდი ზრუნავდა, არამედ თავს სწირავდა მამულს, ვიწრო ფარგლიდან გამოდიოდა ფართო ასპარეზზედ სამუშაოდ, ხელს უწყობდა ერის განვითარებას, განსწავლას, გათვითცნობიერებას, განძლიერებას და განფიქრებას; პატრონობდა ქვეყნობოლთ და გლახაკთ-დავრობოლთ, იმდეს უწერ-გავდა გულში და ნუგეშს-სცემდა ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთ, ამხელდა და შეაჩვენებდა ძლიერთა ქვეყანისათა, როცა იგინი გადაუხვევდნენ ქეშმარიტებისა და სიმაართლის გზას. ამისთვისაც იყო, რომ სანამ ბერ-მონაზონობა თავის დანიშნულებას ვერაზრუნებოდა და მოვალეობას ასრულებდა, — საქართველოც იზრდებოდა და ჰყვარდა, ხოლო როცა ბერ-მონაზონობა დაეცა, — საქართველოც დაქუცმაცდა, დანაწილდა, დაეცა...

ყოველივე ეს ვათვალისწინებელი გქონდა, მეუფეო წმიდაო, და ამიტომაც შენი ძალღონე შეალიე ქეშმარიტის ბერ-მონაზონობის აღდგენას და განახლებას ჩვენში, და ამ განახლებისათვის ზრუნვა შენ ქებათა და ავტოთაგან, ქერთა და კედელთაგან თვით ბერ-მონაზონთა სულსა და გულზედ გადაიტანე. შენ ჩაავანე და შეაგნებინე ბერ-მონაზონთ, რომ სულის ცხონება მარტო ლოცვით არ მოიპოვება, რომ სულის საცხონებლად ლოცვასთან ერთად საქირია გარჯა-მუშაობა მოყვასთა სასარგებლოდ. ამისთვის, თუმცა შენ მიერ შეყვარებულის შიოს ბერ-მონაზონობის უშრომლად ცხოვრება შენის უხვის შეწირულებით უზ-

რუნველ-ყოფილია, მაგრამ შენ მაინც შეასწავლე და შეაყვარე მათ მეფუტკრეობა, მევენახეობა და მებოსტნეოცა. შენ თითონ გაიჩინე ბოსტან-ვენახი, სადაც მადლით შემოსული ხელთა შენთა დღემოდ უმუშავენი ამ მოხუცებულობის დროსაც-კი. შენმა მაგალითმა ისე იმოქმედა ბერ-მონაზონებზედ, რომ ყოველმა მათგანმა გააჩინა ბოსტან-ვენახი, რის გამოც დღეს ამ უღაბნოს ამშვენებენ და აცოცხლებენ ეპისკოპოსის, მაქსიმეს, შიოს და ილარიონის ბოსტან-ვენახი. ამ საზოგადო მუშაობამ დააყუდებულთ ბერიც კი გაიტაცა და მასაც აუღია ხელში წალი და თოხი და შესდგომია ტყის გამოწმენდას და ნიადაგის დამზადებას ბოსტან-ვენახის განსაშენებლად. შეასწავლე და შეაყვარებო ბერ-მონაზონთ შრომა-მუშაობა, შენვე მოუპოვე მათ საუკეთესო ნერგები და თესლეულობა იმ პირობით, რომ ახალის მოსავლისაგან თესლეულობა გაეცრულებით მეზობლათ მდებარე სოფლებში, შენ მიერ დაღებულის პირობის ბერ-მონაზონთაგან შესრულება, როგორც დასაწყისი მონასტრის სოფლისადმი სამსახურისა შენ გახარებდა და გახალისებდა, და ამის გამო განზრახული გქონდა დაარსება ახლო მომავალში ყველასათვის მუდამ კარლია წიგნთ-საცვისი და აუთიქისხა ხოლო შემდეგ, ბრძანე შენ ამ ორიოდ თვის წინააღმდეგ, იქნება ქვენონის დაარსებაც მოგახსოვრო, ბევრი ხალხი იხოცებდა სოფლებში უწყამლოდ და უხატარაოდ.

ამ რიგად შენ დააყენე შენი მონასტერი, შენი შიო, წარსულის დროის მონასტერთა სვლვის გზაზედ, და თუ შენმა მოადგილეებმა არ გადაუხვიეს შენ მიერ გაკვლეულ-გაჯფულს გზას, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი მონასტრები კვლავ განახლდნენ, განძლიერდნენ და შეიქმნენ ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა გზის მაჩვენებლად, პატრონად და მფარველად, შენის, აღუქმანდრე აღმადგენელო, მეოხებით!..

აი, ამ წასრულის დიდების აღდგენის და განახლების გზაზედ დაყენებისათვის გცემო, მეუფეო, პატივს, ქედსა და მუხლს ვიდრეც შენის ცხედიარის წინაშე, სასოებით ევაშობოებით მადლით შემოსილს შენს მარჯვენას, და ყვედრებით იესო მაცხოვარს, რომ მან, სახიერმან, დააწესოს უმანკო და ცხოველი სული შენი საყოფლობა მართლთასა, აღვარსებოს შენ რჩეულთა თვისთა თინა, ხოლო ჩვენზედ მოიღოს მოწყობება და არ გამოგვილიოს შენისთანა მადლით და დეწლით — შემოსილინი მამულის-შვილინი, ამინ.





სახელმწიფო სათათბირო და საზოგადო.

მთავრობის დეკლარაცია. 16 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტალინმა სათათბიროში შემდეგი დეკლარაცია წაიკითხა: „ბატონებო! მთავრობისა და თქვენი საერთო შრომისთვის საჭიროა იცოდეთ ის მიზანი, რომელიც მთავრობამ დღისას, ის ზომები და კანონები, რომელიც საჭირონი არიან ამის მისაღწევად. ამისთვის საჭიროა ნათელ და გარკვეულ პროგრამის შემუშავება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამას წინადა მთავრობამ თვისი კანონ-პროექტები წარუდგინა მეორე სათათბიროს, რომელმაც არ განიხილა აღნიშნული კანონ-პროექტები, მე მთავრობის სახელით ხელმეორედ გამოვდივარ სათათბიროს წინაშე. მთავრობას ცრუადენის ცვლილებით ხელმეორედ შემოაქვს წინადადული კანონ-პროექტები, მაგრამ ესაა სამუშაო პირობები შესაძლებელია შეიცვალნენ. ესაა ყველასათვის ცხადია, რომ უკიდურეს მემარცხენე პარტიების მიერ შექმნილი გამანადგურებელი მიმართება გადაიქცა ცხად ავანკობად, ამ მიმართებაში წინ წამოაყენა საზოგადოების საწინააღმდეგე და გამორთვებული ელემენტები, რომელთაც ვალენტაქეს პატიოსანი მუშაქნი და გარყენეს მოზარდი თათბა (ტაში მარჯენი და ცენტრში). ამ მოვლენას მხოლოდ ძალია უნდა დაუყენოთ წინ. ამ შემთხვევაში დათმობა მთავრობას ბოროტებად მიანია, ვინაიდან ხალხის მტრის თავხედობას შეიძლება ბოლო მოეღოს მხოლოდ კანონიერ თათის დაცვის საშუალებით. ამ გზას მისდევდა დღემდე მთავრობა და ამავე გზას გაჰყვება შემდეგ-შიაც“. შემდეგ სტალინმა განაცხადა, რომ წესრიგი და კანონი სკოლაშიც დააარღვია და მთავრობა ეცდება სასწავლებლებში წესიერება აღადგინოს; მთავრობას, გარდა ამისა, ესმის, რომ განსაკუთრებულ და გაძლიერებულ წესების მაგივრად საჭიროა აღდგენილ იქნას ჩვეულებრივი კანონი.

სტალინმა განაცხადა: „სათათბირო წესრიგის აღდგენაში და კანონიერების დამყარებაში მთავრობას დაეხმარება: პოლიციის და აღმინტრაციისთვის საჭირო ფულს მოგვცემს და შეგვაცუბინებს აღმინისტრაციის უკანონო მოქმედებას (ტაში მარჯენი და ცენტრში). თუ ეს პირობები დაკულ იქმნა, მთავრობას იმივე აქვს, რომ სა-

ხელმწიფოში მშვიდობიანობა დამყარდება და საკანონმდებლო დაწესებულებანი და მთავრობა მთელ თავის ძალდონეს მოახსრებენ ქვეყნის შინაურ საქმეების მოგვარებას. ეს საქმე თხოულობს დიდ რეფორმებს, მაგრამ სანამ გაძლიერებულ არ იქნება ქვეყნის მთავარ კლასის—მიწის მუშათა კონცებრიკეთილდება, ყოველ ნაირი რეორგანიზაცია და მინისტრაციისა და სასამართლოსი ზედპირული და უნაყოფო იქნება. ესლანდელ მთავრობის პროგრამას ყოველთვის ქვეყნთხედით ედო და მთავარი დედა ჰქონდა გადაქცეული საკითხი მიწის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მიწების წარა-მარა დარეგობით, ამისათვის აღიარებულიუნდა იქმნას ხელ-უხლებლობა აკრძო საკუთრებისა, უნდა შეიქმნეს და გაძლიერდეს წვრილი მიწის მესაკუთრეთა რიცხვი, მიეცეს ყველას უფლება თემიდან გამოვსვლისა და მოგვარდეს მიწით სარგებლობის საქმე. ამ საკითხების გადაწყვეტაზე დამოკიდებული, მთავრობის აზრით, არსებობა რუსეთის სახელმწიფოსი“. სტალინმა მოიგონა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით მთავრობის მიერ გამოცემული საავტორო კანონები და სთქვა, რომ მთავრობა განიერად მოიქცა. ამ კანონების გამოცემას ცხოვრება მოითხოვდა და იმედია სათათბირო დაკანონებს და მოიწონებს ამ კანონებსაო. შემდეგ მან ჩამოსთვალა ის კანონ-პროექტები, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა: გაფართოება და რეორგანიზაცია ადგილობრივ თვითმართველობისა, ადგილობრივ დაწესებულებათა, გაძლიერება განათლებისა, დაუძლიერებულ მუშების დახლვევა და სხ. ზოგი კანონ-პროექტი მზათ არის, ზოგს ესლა ადგენენ, ზოგი უკვე გადაეცა სათათბიროს, დანარჩენს თან და თან შეეიტანთ“. სტალინის სიტყვით, მთავრობა განახორციელებს 17 ოქ, მანიფესტის დანაპირებს, გააუმჯობესებს მართლმადიდებელ ეკლესიისა და სამღვდლოების ყოფამდგომარეობას, შემოიღებს ზოგიერთ განაპირა აღმკლებში თვითმმართველობას, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ დაიცავს სახელმწიფოს მთლიანობას, გაძლიერებს და განავითარებს ჯარსა და ფლოტს და სხ. სტალინმა ისიც მოიხსენა, რომ ხელმწიფეს შერჩენილი აქვს სახელი „თვითმპყრობელი“. ამან მემარჯვენეთა შორის, რასაკვირველია, დიდი სიხარული გამოიწვია.

დაიწყო კამათი გუჩუკოვა ოქტომბრისტა და ზომიერ მემარჯვენეთა სახელით, წაიკითხა რუმულიუცია, რომელიც ამბობს, რომ სათათბირომ, მოისმინა რა მთავრობის დროგარეშე, მტკიცედ გადასწყვიტა შეუდგეს საკანონმდებლო მუშაობას და თვალ-ყური ადევნოს მთავრობის მოქმედებას. დიდ ხანს ილაპარაკა ბობრინსკიმ. მან მოუწოდა სათათბიროს, მხარი დაეუჭიროთ მთავრობას და მასთან ერთად დავამშვიდლოთ და ავღაღრძინოთ რუსეთი. „კადეტები“ მხრით ილაპარაკა მიაკლავებდა, რომელმაც დაწერილებით განიხილა სტალინის დეკლარაცია და აღნიშნა, რომ მთავრობა რუსეთს უფრო მუქარასა და უარესს რეპრესიებს ჰპირდება, ვიდრე განახლებას და მანიფესტის განკორცხვას. მარკოვა მემარჯვენეთა სახელით სალაში უძღვნა „თვითმპყრობელ ხელმწიფის მთავრობას“ და განაცხადა, რომ მემარჯვენენი მხარს მისცემენ მთავრობას და უშველიან რუსეთის დამშვიდების საქმეში. სოც. დემ.—ის სახელით ილაპარაკა პოკროვსკიმ. მან განაცხადა, რომ მიუხედავად საშინელ რეპრესიებისა და მთავრობის შეაზნელ პოლიტიკისა, სოც.-დემოკრატები მოითხოვენ ხალხის თვითმპყრობელობას, საყოველთაო არჩევნების შემოღებას და ყოველთვის წინ აღუდგებიან და გააჩვენებენ მთავრობისა და სათათბიროს მოქმედებას. ბოლოს პოკროვსკიმ წაიკითხა სოც. დემ. ფრაქციის დეკლარაცია. დარბაზში რამდენჯერმე ასტყადა აყალ-მაყალი, ხმურობა და ყვირილი. ორატორმა ძლივს დაამთავრა დეკლარაციის კითხვა. შემდეგ ილაპარაკა პოლონელთა „კოლოს“ ბელადმა დმოვსკიმ, რომელმაც დაწერილებით დაახასიათა რუსეთის მთავრობის პოლიტიკა არა რუსთა წინააღმდეგ მიმართული. ამ პოლიტიკამ კულტურულად გააღატაკა არა რუსნი და შეაჩერა განვითარება რუსეთისა. შეუძლებელია ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური პოლიტიკა რუსეთში, სადაც აუარებელი სხვა და სხვა ტომის ხალხი ცხოვრობს. მთავრობამ შეამცირა დემუტატთა რიცხვი არა რუსთა და ამით დაამტკიცა, რომ იგი წინააღმდეგ პოლიტიკას არ გადაუხვევს. პოლონელები არას დროს არ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ ისინი რუსეთის გერები უნდა იყვნენ. პოლონეთის „კოლო“ აღნიშნავს რა იმას, რომ სტალინის დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი შესახებ პო-

ლონეთისა, თხოულობს კამათის მოსაშობა და ურეზოლოუციოდ მორიგ საქმეებზე გადასვლას (ტაში მარცხნივ, სტვენა მარჯვნივ). კრება გადიოდა 17 ნოემბრისთვის.

16 ნოემბერს პირველი ილაპარაკა „კადეტთა“ ბელადმა მილიუკოვმა. მან სთქვა, რომ სტალინის სიტყვა მარტო მუქარა იყო მოხელეთა, პედაგოგთა და მოსამართლეთადმი მიმართული. სტალინის გვირგვინი წინააღმდეგ რეპრესიებს, მან არც კი მოისხენა 17 ოქტომბრის მანიფესტს და უკანვე წაიღო სათათბიროდან ის კანონ-პროექტები, რომელთაც ეს მანიფესტი უნდა განეხორციელებინათ. თავათელიანმა დიდხანს ილაპარაკა თემის შესახებ და მოითხოვა მისი დატოვება. პურიშველიანმა უპასუხა მემარცხენეთ, „კადეტებსა“ და პოლონელებს. მან სთქვა, სანამ მემარცხენენი და პოლონელები არ მორჯულდებიან, მათთან ერთად ვერ ვიმუშავებთ და ვერ შეურიგდებითო. პოლონელებს უთხრა, თავი დანებეთ ავტონომიას, იკისრეთ რუსეთის უმცროსი ძმის როლი, შეიყვარეთ რუსეთი და მაშინ ჩვენც შეგიყვარებთო.

მეორეთ ილაპარაკა მინისტრმა სტალინისმა. მან თავისი სიტყვა ორ ნაწილად გაყო. პირველი ნაწილი უძღვნა აგრარულ საკითხსა და საზოგადოთ მთავრობის პროგრამის გამართლებას, მეორე ნაწილი—პოლონეთის დემუტატის დმოვსკის სიტყვას. მან განაცხადა, დმოვსკის საყვედური იმის შესახებ, ვითომ მთავრობა ხელს არ უწყობდეს ადგილობრივ თვითმმართველობის განვითარებას, უსაფუძვლოა. მთავრობა არსებითად მხარს უჭერს თვითმმართველობას, მაგრამ იგი ყოველთვის დაეყრდნობა მხოლოდ ეროვნულ ძალას, რომელმაც უნდა ხელთ იგდოს ეს თვითმმართველობა. პოლონეთი ჯერ ეროვნულ გახეთ უნდა შეუერთდეს რუსეთს და მერე მოსთხოვოს მის დეცენტრალიზაცია. „ჩვენგან იმ დროს თხოულობენ დეცენტრალიზაციას, როცა რუსეთი სუსტია. თქვენ გსურთ ძალით გამოგვევლიოთ ავტონომია და დეწყვიტოთ ის ძალები, რომელიც აერთებენ რუსეთსა და განაპირა კუთხეებს. ამაზე ჩვენ გიპასუხებთ: ეგ შეუძლებელია! (ავშა“ და ტაში ცენტრში და მარჯვნივ). ჯერ ჩვენნი თვალსაზრისი მიიღეთ, აღიარეთ, რომ რუსის მოქალაქის სახელი უმაღლესი ჯილდოა თქვენთვის, ეს სახელი ისევე ამაყად ატარეთ, როგორც ერთ

დროს რომაელები ატარებდნენ და მაშინ ყველა უფლებებსაც მიიღებთ და გერებიც აღარ იქნებით“ (ტაში და „ვაშას ყვირილი). სტალინისნს ვასუხი ვასცა „კადეტმა“ როდღემა, რომელმაც უშველებელი აურ-ზაური და სკანდალი გამოიწვია. მან დაწვრილებით განიხილა მთავრობის პროგრამა, ილაპარაკა პოლონელთა შესახებ და, სხვათა შორის, სთქვა: „მთავრობა იბრძვის მხოლოდ იმ იარაღით, რომელსაც პურიშეკვიჩმა მურავიოვის საყვლო (სახრობელა) უწოდა. თქვენს ამ საყვლოს მომავალმა ისტორიამ სტალინისნის ყელსაბამი უწოდოს.“ ამ სიტყვებთან ერთად დარბაზში საშინელი ყვირილი ასტყდა. ყველანი ყვიროდნენ: მემარჯვენენი, ოქტომბრისტები, „კადეტები“ და მემარცხენენი. დემუტატები როდღევეს შემოეხვივნენ. თავმჯდომარე გავიდა დარბაზიდან. მინისტრებიც გავიდნენ. ერთი საათის შემდეგ კრება ხელახლა გაიხსნა. თავმჯდომარემ სთხოვა სათათბიროს, რომ მან სასტიკად დასაჯოს როდღევე, რომელმაც „შეურაცხყო სტალინისნი. როდღევემა იქვე ბოლიში მოიხადა. სათათბირომ ხმის უმეტესობით როდღევეი განამევა სათათბიროდან 15 კრების ვადით. ამის შემდეგ კრუპენსკიმ მოუწოდა სათათბიროს, სტალინისნს თანაგრძნობა გამოუცხადოთ. ფეხზე აღდგნენ მემარჯვენენი, ოქტომბრისტები, „კადეტები“, ნაწილი „კოლოსი და ტაშის დაკვრით თანაგრძნობა გამოუცხადეს სტალინისნს, რომელმაც სათათბიროს მადლობა გამოუცხადა. ყველა მინისტრებმა მოსთხოვეს როდღევეს, რომ მას ბოლიში მოეხადა სტალინისნის წინაშე. მოწმების თანადასწრებით როდღევეი მივიდა სტალინისნის კაბინეტში და ბოლიში მოიხადა.

ბორჯბი მემანახემაი.

(მლ. გ. პეტროვის თხზულებიდან).

„კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენახი, და ზღუდე გარემოსდვა მას, და ჰქმნა მას შინა საწახელი, და აღაშენა გოდოლი და მიცა იგი მოქმედთა საქმედ, და წარვიდა. და რაწამს მოიწია ჟამი ნაყოფთა, მიავლინა მონანი მისნი მოქმედთა მათ, მოღებად ნაყოფისა მისისა. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რო-

მელთამე ჰსცეს, რომელნიმე მოსწყვიდნეს, და რომელთამე ქვა დაჰკრიბეს. კვალად წარავლინა სხვანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ვერეთევე უყვეს. ხოლო უკანასკნელ მიუღიანა მათ ქე თვისი და სთქვა: შე ხოლო თუ იკლიმან ძისგან ჩემისა. ხოლო ქვეყანის მოქმედთა მათ, ვითარც იხილეს ქე იგი მისი, და სთქვეს გულსა მათსა: ესე არს მკედრი; მოვედით და მოვკლათ იგი, და დავიპყრათ სამკვიდრებელი მისი. და შეიპყრეს იგი, და განიყვანეს გარეშე ვენახისა მის, და მოჰკლეს. რაჟამ უყვე მოვიდეს უფალი სავენახისა მის, რამე უყოს ქვეყნის მოქმედთა მათ? ჰქვეს: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს; და ვენახი იგი მისცეს სხვათა ქვეყანის მოქმედთა, რომელთა მოჰსცენ მას ნაყოფი ჟამსა თვისსა“. (მათ. 21, 33—41).

ეს იგავი უთხრა უფალმა იესო ქრისტემ იუდეულებს და მით აჩვენა მთელი მათი წარსული ცხოვრება და მომავალი ბედი. რა წყალობა, არ მიენიქა ფთვისგან ებრაელების ხალხს? როგორც არწიეს ფთვის ვადაპყავს თავის ბარცები, ვგრეთვე უფალმა გაიყვანა ებრაელები წაითელი ზღვით, გაანთავისუფლა ისინი ევკვიპტის მონობისგან და მისცა მათ სამფლობელოდ ნაყოფიერი ქანაანი. მოსეს და სხვა წინასწარმეტყველთა საშუალებით გამოუცხადა მათ თავის ნება; მისცა ქემმარტი სჯული ცხოვრებისა; გამოარჩია ისინი თავის საუკეთესო ვენახი და მოელოდა, რომ ისინი შეიმუშავებდნენ მას და ჩააბარებდნენ სახლის უფლას ჯეროვანს ნაყოფს; მოელოდა, რომ ისინი მოაწყობდნენ თავიანთ ცხოვრებას ღვთის სჯულის თანახმად, დასთესამდნენ ხალხთა შორის სიწართლეს, გაამრავლებდნენ ქვეყნად სიყვარულს; ერთი სიტყვით, — ქენებოდნენ სხვა ხალხების მავალითად და თავის წმინდა ცხოვრებით ქება-დიდებას შეასახმდნენ წმიდა სახელს უფლისას. მაგრამ ებრაელები გამოდგნენ ბოროტ მვეენახეებალ: ვიბრა იცეს პატრონი თვისი, და ხარმა მავე, ხოლო ისრაილმა დაივიწყა უფალი თვისი. ბევრგვარი სასწაული მისცა უფალმა ებრაელებს, უგზავნიდა მათ წინასწარმეტყველებს; მაგრამ იმათ სასწაულებს ყური არ ათხოვეს, დასცინოდნენ იგინი წინასწარმეტყველებს და ქვეებით ხოცავდნენ მათ. მაშინ ყოვლად სხიერი ზეციერი მამა ჰგზავნის თავის ძეს. მაცხოვარმა აღასრულა საქმეები საუცხოვო მოწყალებისა,



გამოუცხადა ხალხს უდიდესი სიყვარული, აუხსნა მას ზეციური სიბრძნის საუნჯე, ასწავლა მას ქემ-მარტი, გზანიერული, ღვთის სასიამოვნო ცხოვრება; — მაგრამ ებრაელებმა მისცეს იგი სამარცხეირო სასჯელს, ჯვარს-აცვეს იგი, როგორც ბოროტის მოქმედი, ავაზაკთა შორის. ამისათვის წაერთვა ბოროტ მევენახეებს მიცემული მათა ვენახი; ასრულდა მათზე სიტყვა მაცხოვრისა: „აჰა ესერა, დაეტეოს თქვენგან სახლი თქვენი ოხრად. რამეთუ გეტყვი თქვენ: არღარა მიხილოთ მე ამიერთგვან, ვიდრემდე მსთქვათ: კურთხეულად-არს მომავალი სახელითა უფლისათა!“ (მათ. 23, 38).

ასეთია აზრი მოყვნილი იგავისა ებრაელების მიმართ, რომელთაც არ ისმინეს წინასწარმეტყველების სწავლა, და არ მიიღეს მაცხოვარი; მაგრამ სახარების სიტყვას აქვს არა მარტო დროებითი და ადგილობრივი მნიშვნელობა; იგი შეეხება ყოველ დროს, ასწავლის ყველა ხალხებს. იესო ქრისტე თავის სიტყვაზე ეუბნება ყველას: „უკეთუ ვისმე სწყუროდეს, მოვიდინ ჩემდა და მსიძინ“ (იოან. 7, 37). ამიტომ ჩვენც, თანამედროვე ქრისტიანებმა, უნდა ვეძებოთ აქ გაკვეთილი. ჩვენც ავრთვეთ მოგვცა უფალმა თავის საუკეთესო ვენახი, გაგხადა ჩვენ მევენახეებად და ელის ჩვენი შრომის ნაყოფს. ჩვენ გვაქვს ქემარტი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება; წმინდა სახარება გვასწავლის ჩვენ ღვთის სიმაართეს, ეკლესია ქრისტესი თავის ლოცვებით და სიიღუმულოებით სწმენდს ჩვენ გულს, განამტკიცებს ჩვენ სულიერ ძალას. უთუოდ, სჩანს რომ ვენახი ღვთისა უნდა ჰყვოდეს, ღვთის საქმე ქვეყნად იზრდებოდეს, სახარების სიმაართე მრავლდებოდეს ხალხში, სიყვარული ქრისტესი აცისკროვნებდეს ყოველივე დაწესებულებას, — მაგრამ სინამდვილეზე ესე არ არის; ბევრი საქმე სხვანაირად მდგომარეობს, ცხოვრება არ იძლევა სასურველ კეთილ ნაყოფს, მთელი ჩვენი ცხოვრების წყობილება გვაჩვენებს, რომ ჩვენ ეხლა, როგორც ებრაელები ორი ათასის წლის წინათ, ვართ ბოროტი მევენახეები. შეხედეთ აბა, საით არის მიმართული მთელი ჩვენი ძალა, ჩვენი გონება, სწავლა, შრომა და მოღვაწეობა? რას ვეძებთ ჩვენ ყველაზე პირველად და ყველაზე მოამეტებულად? ღვთის სასუფეველს და მის სიმაართეს, თუ თავის შვება-ლხენას? ჩვენს გარშემო მილიონებია წარმართთა, იუდეველთა და

მამპაღიანთა. ყველა ესენიც ხომ ხალხია, შვილები ღვთისა, ყანა უფლისა: ეს ყანა ელის ქრისტეს სწავლის დათესვას. რა მშვენიერი საქელი ჯეჯილი ამოვიღოდა, რა დიდ მოსაგაღს მოსცემდა, ჩვენ რომ მოგვეხნა ის, დაგვეშვებნა და დაგვეთესა მასში მარცვლები სახარების სწავლისა! რატომ ასე არ კეთდება, და თუ კეთდება, თითქმის შეუშწნველად? რატომ არის ეს, რომ აი გადის ორი ათასი წელიწადი, და წარმართები უფრო მეტია, მინამ ქრისტიანები, და მამპაღიანობა თავის წარმატებაში თავის ზრდაში ჰმატს ქრისტიანობას? რატომ არის ეს და ბევრი კიდევ ამაზე უფრო სამწუხარო? — იმიტომ რომ ჩვენ ვართ ბოროტი მევენახეები. ღვთიურ სიმაართის ნათელი, ქრისტეს სიყვარული და სახარების სწავლა ჩვენზედ ნაკლებად მოქმედებს, რომ ყველამ დაინახოს ჩვენი კეთილი საქმეები და აღიღებდეს მამსა ჩვენსა ზეციერსა; ერთმანეთის სიძულვილი, ყოველ-გვარი სიფერაგე, ბოროტება და ცბიერობა ჩვენში ნაკლები არ არის, მინამ რომელიმე წარმართში. შეხედეთ ვატირობას; რაზეა იგი დამყარებული? — მოტყუებაზე. აიღეთ ხალხების ღრთიერთ განწყობილება, სხვა-და-სხვა წოდების და მდგომარეობაში მყოფთა ერთმანეთ შორის დამოკიდებულობა; რითი ხელმძღვანელობენ ისინი? — სურვილი რომ უფრო სუსტი დაიმორჩილონ, თავის სასარგებლოდ ამუშაონ, სხვის ხარჯზე იცხოვრონ. სრულდება ჩვენ ცხოვრებაში სწავლა მაცხოვრისა? — „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ-ყოფა, იყვენ თქვენდა მსახურ; და რომელსა უნებს თქვენ შორის წინა ყოფაჲ, იყოს იგი თქვენდა მონა“. (მათ. 20, 26—27). რითი მოვაქცევთ ჩვენ წარმართს ქრისტეს მიმართ, თუ თითონ ჩვენ წარმართულად ვცხოვრობთ? ჩვენი ქრისტიანობა მხოლოდ გარეგნულია, თითქოს საზიანთა. მებელიც აი აშნაირი კეთდება. არის ავეჯი, უფრო ძვირფასი, რომელიც გაკეთებულია მთლად მუხისა, კაკლისა, ან სხვა ძვირფასი ხეებისაგან; და არის ავეჯი, რომელიც გაკეთებულია უბრალო ხის მასალისაგან, და გაკრიალებულია, შეღებილია მუხის ან კაკლის ფრად. გარეგნულად სჩანს, რომ ძვირფასი ხისაგან უნდა იყვეს გაკეთებული, ხოლო როდესაც ფიხილით ცოტათი გაჰკაწრავ, გამოჩნდება რომ ეს უბრალო ნაძვი ან ვერხვია. ესევეა ჩვენი ქრისტიანობაც: გარეგნულად კაცი თითქოს ქრისტიანია: საყდარშიაც დადის,

ჯვარიც აქვს გულზედ, სახარების სიტყვასაც გეტყვით ხან-და-ხან, და ამა სკალე გაჰკაწრო, მაშინვე დიანახავ ნამდვილ მის სახეს, გამოსჩნდება მის წარმართული ცხოვრება, სიძულვილი, ბოროტება. ამასთან იქონიე მხედველობაში გაცრცელებული ჩვენში ლოთობა, უმზავესი გარყვნილობა განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებში! სირცხვილისაგან წითლდები, როდესაც წარმოიდგენ ფიხელ მაჰმადიანს, რომელიც სრულებით არა სვამს, და ებრაელს, რომელიც წმინდად ინახავს დღესასწაულს. და ეს მხოლოდ ნაწილია ჩვენის უწყობებისა ღვთის ვენახში, ჩვენ ცხოვრებაში. დავავიწყდა ვინა ვართ ჩვენ და რისთვის ვცხოვრობთ. თავი მიგვიტევათ ამ ვენახისთვის, რომელიც უხეირო ბალახით გამოსებულა. ჩვენ ბოროტი მევენახეები აღარ ვაძლევთ სახლის-უფალს საჭირო ნაყოფს. ხალხის ერთი თაობა მეორე ახალი თაობით იცვლება, ზღვის ტალღების მსგავსად, ცხოვრება-კი თავის თვისებით ისევ ისა რჩება, ახალი ხალხი იბადება; ახალი ჩვეულებები, ახალი ქალაქები შენდება, — ბოროტება-კი, უსამართლობა და ძალ-მომრეობა გამოუცვლელად ისევ ძველებური რჩება. ხალხი იცვლავს შორეულ ქვეყნებს, გაჰყავს გზები ხშირ ტყეებში და უდაბნოებში თავის თავი-კი, თავისი გული, სიბნელე თავის სულისა არ იცის, ღვთის სიმართლის გზებს ვერ არჩევს და არც ეძებს სინამდვილეს. რიცხვით მრავლდება ქვეყნად ხალხი, მრავლდება იმის სიმდიდრე, იზრდება სწავლა, სულ ახალი და ახალი გამოგონილება ჩნდება, — მხოლოდ ერთი სიმართლე ღვთისა ქვეყნად არ იზრდება ყველა ამითან შედარებით, არა მრავლდება ხალხში სახარების სიყვარული, არა ჩნდებიან ახალი თავგანწირული მოქმედებები, მახარებელნი და მექონენი ქრისტეს მცნებისა. და ამიტომ თუმცა დიდია ქვეყანა ღვთისა, საუცხოვოდ მშვენიერია, უთვალავია მასში სიკეთე და სიხარული კაცისათვის, გარნა მაინც ცხოვრება ხალხისა სამძიმო და სამწუხაროა. საუცხოვო ვენახი გვაქვს მოციქული, მის საუკეთესო მოსავლელად ყველაფერი მოამარჯვებელი გვაქვს, ნაწვენებია საუკეთესო წეს-რიგი მუშაობისათვის, მხოლოდ საჭირო მოსავალი ნაყოფისა არა სჩანს. მიზეზი ამისი ჩვენშივეა: ჩვენ ბოროტი მევენახეები ვართ!

მღვ. იოანე ლუკიანოვა.

საზოგადო. ცნობანი საღვთო წერილის შესახებ.*)

შესწორება და ბეჭდვა ქართულ დაბადებასა.
თუცა ქართველმა წმ. მიმებმა სრულად გადმოთარგმნეს ქართულს ენაზე საღვთო წერილი, მაგრამ სხვა-და-სხვა უბედურ გარემოებათა და შემთხვევათა გამო, ქართულ დაბადებას დააკლდა რამოდენიმე საღვთო წერილის წიგნი; გარდა ამისა, რადგანაც საქართველოში ბეჭდვის შემოღებამდე, საღვთო წერილის წიგნები ხელთ-ნაწერებით ვრცელდებოდა, გადაწერის დროს გადაწერის უნებლიეთ მოსიღობა შეცდომა, ზოგი კიდევ განზრახ რყენდა საღვთო წერილის წიგნებს. ამის გამო საჭირო გახდა შეკრება და შესწორება ქართული დაბადებისა.

არჩილ მეფემ († 1712 წ.), რუსეთში დასახლების შემდეგ, შეაგროვა საღვთო წერილის სხვა-და-სხვა წიგნები ქართულს ენაზე, რაც აკლდა შეავსო სლავიანური ენიდან გადმოთარგმნილი (მაგ. წიგნები მაკაბელთა და ზირაქისა). მაგრამ არჩილ მეფის დაბადებაში ბევრი შეცდომა იყო გადამწერის დაუდევრობის გამო; ბევრი მუხლი გამოტოვებული იყო, ბევრგან ცალკე სიტყვები და მთელი წინადადებები აკლდა; დაბადება არ იყო დაყოფილი თავებად. ამიტომ მეფემ ბაქარ ვახტანგის-ძემ კვალად ხელი მიჰყო ქართული დაბადების შესწორება-მეცხებას. მან და სასულიერო პირთა კრებამ დაავალეს ვახუშტი ბატონიშვილს გაეყო ქართული დაბადება თავებად და მუხლებად, შეედარებინა იგი ებრაულ, ბერძნულ, ლათინურს, ასურულ და სომხურ დაბადებებთან; ვახუშტიმ შესწორა ზუთივე წიგნი მოსესი, ისო ნავესი, მსაჯულთა, ნეშტთა, იოხისა და სხვანი; ივლითისა და ტობიას წიგნები-კი გადმოთარგმნა ლათინურიდან. ეს დაბადება, წოდებული „ბაქარის დაბადებად“, დაიბეჭდა მოსკოვში 1743 წ.

თუმცა ბევრი იშრომეს ბაქარის დაბადების შესწორებებში, მაგრამ არც ეს დაბადება ასცდა შეცდომებს, რომელნიც წარმოადგენ შემასწორებელთაგან სლავიანური ენის ნაკლებად ცოდნისგან; ამიტომ ეს დაბადება შესწორებას მოითხოვდა. 1863 წ. უწყმდესი სინოდის ბრძანებით შედგა დაბადების შემასწორებელი კომიტეტი, რომელსაც უნდა შე-

*) იხ. მწევესი № 21 1907 წ.



ემოწმებინა ბაქარის დაბადება. უკანასკნელად დაბადება დაიბეჭდა 1884 წ. თფილისში, ხელაძის სტამბაში, მხედრული ასოებით. ეს დაბადება ღირსებით ნაკლებია ბაქარის დაბადებაზე; აქ მეტი შეცდომებია, ტექსტი შერყენილია და არეულ-დარეული; ამიტომ მოითხოვს შესწორებას. *) 1896 წ. დანიშნულმა ახალმა კომიტეტმა დაბადების შესასწორებლად, შესწორა და უკვე დაბეჭდა მისგან 5 წიგნი.

წიგნების ბეჭდვის შემოღების შემდეგ პირველად დაიბეჭდა ქართულად დავითნი მოსკოვში 1705 წ.; თფილისში სახარება 1709 წ. სრული დაბადება დაიბეჭდა ჯერ 1743 წ. მოსკოვში და შემდეგ 1884 წ. თფილისში.

სლავიანური თარგმანი. სლავიანურს ენაზე დაბადება გადმოთარგმნეს LXX თარგმანიდან წმმ. კირილემ და მეთოდემ მეცხრე საუკუნის ნახევარში. ამათ, თესლონიკეში ცხოვრების დროს, გამოიგონეს სლავიანური ანბანი; იქვე იწყეს დაბადების თარგმანი, რომელიც განაგრძეს და დაასრულეს მოლდავიში და პანინიაში ქადაგების დროს, რისთვისაც მიიწვია ივინი მთავარმა როსტისლავმა. მათ გადმოთარგმნეს მხოლოდ სავალდებულო წიგნები. რუსეთში ქრისტიანობის მიღების თანავე წმ. კირილეს და მეთოდეს სლავიანური თარგმანი საყოველთაო სახმარებლად იქმნა ცნობილი და მიღებული. რადგანაც სლავიანურს დაბადებას სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დააკლდა ზოგიერთი წიგნები, ამიტომ XV საუკუნეში ვულგატადან გადმოთარგმნეს ეს წიგნებიც. პირველად სლავიანური დაბადება დაიბეჭდა 1581 წელში ქ. ოსტროვსკის მთავრისთვის; შემდეგ შესწორებულ იქმნა მეფის ალექსი მიხეილის ძის დროს 1663 წ. და შემდეგ ელისაბედ იმპერატრიცას დროს, სინოდის ლოცვა-კურთხევით, დაიბეჭდა დაბადება 1751 წელს; ესლა ხმარებაშია ამ უკანასკნელის დაბადებიდან გადმობეჭდილი დაბადებები. ქართული დაბადების ისტორიაში დიდი მნი-

შენელობა აქვს სლავიანურს დაბადებას, რადგანაც 18 საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე აქამომდე ქართული დაბადების შემასწორებელი ხშირად ხმარობენ ამ სლავიანურს დაბადებას.

რუსული თარგმანი დაბადებისა. რადგანაც სლავიანური ენა თან-და-თან ირჩეოდა რუსული ცოცხალი ენისგან და ბევრი სლავიანური სიტყვები ხალხისთვის გაუგებარი გახდა, ამიტომ საკირთა აღმოჩნდა დაბადების გადართგმნა რუსულს თანამედროვე ენაზე. ეს საქმე დაიწყო იმპერატორის ალექსანდრე I დროს; დაიბეჭდა 1815 წ. ახალი აღთქმა და დავითნი; შემდეგ შესწყდა ბეჭდვა რუსულს ენაზე საღვთო წერილისა, თუმცა თარგმანები ძველი აღთქმის წიგნებისა კი იყო, მაგ. დეკანოზის პავლის და არქიმ. მაკარისა. მხოლოდ ალექსანდრე II დროს, სინოდის ლოცვა-კურთხევით, 1856 წ. აკადემიების პროფესორები შეუდგნენ დაბადების თარგმანს რუსულს ენაზე და 20 წლის განმავლობაში დაასრულეს, ასე რომ 1876 წ. გამოიცა ახალი დაბადება რუსულს ენაზე. საფუძველად რუსულს თარგმანს უდევს თარგმანი LXX.

არის კიდევ სხვა თარგმანებიც დაბადების ბევრს ენაზე, მაგრამ დაბადების მეცნიერულად შესწავლისთვის ზემო აღნიშნულს თარგმანებს უფრო აქვთ მნიშვნელობა.

გარკანი ისტორია საღვთო ტექსტისა; სხვა-და-სხვა ცნობებიანი მასში. როგორც ზემოდ ვთქვით, საღვთო წერილი დაწერილია ებრაულად და ებრაელთაგან. საწერ მასალად ებრაელები ხმარობდნენ, როგორც ხანს საღვთო წერილიდან, ქვას, ხეს, ლითონს (გამოსულ. 31, 18; მეორე შჯ. 27, 1-9; ისო ნავე. 8, 32; იობისა 19, 24); მაგრამ ამ მასალებზე იწერებოდა მხოლოდ მოკლე წარმონათქვამები; მთელი მოთხრობა ამ მასალებზე არ დაიწერება. მთელ მოთხრობებს და ამბებს ებრაელი სწერდნენ ეტრატზე, რომელიც კეთდებოდა საქონლის ტყავისაგან და პაპირუსზე, — ეგვიპტიური ღერწმის ფურცლებზე. პაპირუსის ფურცლებს ეტრატის ოდენი გამძლეობა არა ქონდათ, მაგრამ გადასატან-გადმოსატანად უფრო სუბუქნი იყვნენ. ეტრატზე, რომელიც გასანთლელი იყო, და პაპირუსზე სწერდნენ გავრცელებული ჩხირით, რომელსაც ეწოდებოდა საწერელი (ფს. 44, 2); სწერდნენ მარტო ეტრატის

*) ეს შეცდომები მოხდა შემდეგი მიზეზით. კარგი საშრომელი დაეწინა ამ დაბადების კორექტურების გასასწორებლად განსვენებულ გრიგორი ეპისკოპოსს. მან ამ კორექტურის გასწორება მიანდა ერთ სწულს და ამ საქმის უკოდინარ კაცს გურგენიძეს. თვითონ ეპისკოპოსი ხელს აწერდა კორექტურას და შეცდომებს კი არ უყურებდა. თვითონაც რომ ისწორებია დაბადება ვანა შეეძლო?..



ანუ პაპირუსის ერთს გვერდზე, მეორე გვერდი ცარიელი იყო, ერთი თავით ეს დაწერილი ფურცელი მიმაგრებული იყო რგვალს ჯოხზე და ზედ დახვეული; ამას ერქვა გრაგნილი, ანუ ხეული, ასე, რომ წაკითხვის დროს გრაგნილზე უნდა გაეშალათ.

ძველი ებრაული ანბანი, რომლითაც დაწერილია საღვთო ტექსტი, შესდგებოდა მხოლოდ უხმო ასოთაგან; მაშინ არ იყო ხმოვანი ასოები იმ მნიშვნელობით, როგორც ესლანდელს ანბანებში. საღვთო წერილის სწავლულნი მკვლევარნი თანახმანი არიან იმაზე, რომ საღვთო წიგნების მწერალთ არ უხმარიათ ხმოვანი ასოები, რადგანაც საღვთო წერილის ენა იყო ცოცხალი, საყოველთაო და ყველა ებრაელისთვის ადვილად გასაგები, ამიტომ ამ წიგნების დაწერის თანამედროვე ებრაელებს ადვილად შეეძლოთ გაგება წიგნებისა, თუმცა კი მხოლოდ უხმო ასოებით დაწერილობისა ისე, როგორც, მაგალითად, ჩვენ ადვილად შეგვიძლიან გავიგოთ სასწავლებელში უსწავლელი კაცისგან დაწერილი წერილის აზრი, აღვადგინოთ ჰემარაიტი მართლწერა მისი და გამოთქმა სიტყვებისა. შემდეგში კი, როცა ებრაელებს გაუძნელდათ საღვთო წერილის კითხვა-გაცემა, სწავლულმა კაცებმა შემოიღდეს ნიშნები, რომლებსაც უწერდნენ სტრიქონების ზევით ან ქვევით და რომლებიც ხმოვანი ასოების მაგიერობას ეწოდნენ.

თუმცა საზოგადოდ ძველი ერები გაბმულად სწერდნენ, ე. ი. სიტყვას არ აშორებდნენ ერთმანეთისგან და არა ყოფდნენ, მაგრამ ესლანდელი არქეოლოგია და პალეოგრაფია გვარწმუნებენ, რომ დაბადების წერაში ძველი დროიდანვე იხმარებოდა სიტყვათა გამყოფელი ნიშნები; ესნიშნები იყვნენ წერტილი, ხაზი, აგრეთვე ცარიელი ადგილი დატოვებული სიტყვებისა და სიტყვების შუა.

უწინდელიდანვე საღვთო წერილის წიგნები თვით დამწერთაგან გაყოფილ იყვნენ რაოდენსამედიდეს ნაწილებად. დაბადების პირველ წიგნში, მაგალითად, არის 10 ნაწილი ანუ განყოფილება, აღნიშნული თვით დამწერისაგან; ყოველი განყოფილება იწყება სიტყვებით: ესე წიგნი არს შესქმნის (შექმნ. 2, 4, 5, 1), ესე შობანი არაინ ნაესნი (6, 9), და სხ. თითქმის ყველა წიგნებში მოიპოვება ამგვარი განყოფილებანი; ესლანდელი ებრაელები და-

ბადების წიგნებისა თავებად და მუხლებად შემოღებულია მე-13 საუკუნეში კარდინალის გუგისგან; პირველად მან ვულმატა გაყო თავებად და მუხლებად, ეს მოწონათ სხვებსაც და გადიტანეს გუგის შემოღებული გაყოფა ყველა დაბადებებში.

შანჯანი ასტორაა საღვთო ტექსტისა. მისა შეურყენჯობა. ებრაული ტექსტი საღვთო წერილისა, ბეჭდვის შემოღებამდე, ვრცელდებოდა ხელთნაწერებით. ხოლო წიგნის გადაწერის დროს აუცილებელი იყო შეცდომები; ამის უთუოდ გვაფიქრებებს სისუსტე და ბუნებრივი ნაკალთვანება კაცთა, საღვთო წერილის გადაწერთა. გადაწერები, მიუხედავად ყოვლისავე სიფრთხილისა, ვერ ასცდებოდნენ შეცდომებს. ხშირად მოსდის დათ მათ შეცდომები მხედველობისა და მესხიკებისა, მაე. შეიძლება აერიათ ერთმანეთის მსგავსი ასოები, გამოეტოვებინათ, ან გაემეორებინათ მნიშვნელობით ერთმანეთის მსგავსი სიტყვები; თუ გადაწერი სწერდა კარნახის საშუალებით, მაშინ მოსალოდნელი იყო სმენის შეცდომა—გადაწერი ვერ გაიგონება სიტყვას და შეიძლება ერთის მაგიერად სხვა დაეწერა. ყველა ეს უნებლოეთი შეცდომები; მაგრამ ზოგს უგუნურს გადაწერს კი შეეძლო განზრახვაც გადაემახინჯებინა და გვერყენა ტექსტი.

ყველა მცენერები, როგორც ჟიკიდურესი მითართულებისანი, ისე კეთილი განზრახვით გამსკვალულნი სცნობენ უცილებელად, რომ ებრაული ტექსტი საღვთო წერილის შერყენილია; მაგრამ ეს შერყენა არ არის ისე ფრიალი და დიდი, რომ იგი (ტექსტი) სრულიად აღარ გავდეს დედანს. ებრაელებში იყვნენ ბევრი სწავლულნი, რომლებმაც კარგად იცოდნენ საღვთო წერილი და ყოველსავე ღონეს ხმარობდნენ მის შემუშალავად შენახვისთვის მისე წინასწარმეტყველთა უბრძანა ურიებ: არა შესისინათ სიტყვა ერთი; რამელსა ესე მე გამგებთ თქვენ, და არცა დაჯდით მკვას, არაუკ დაიგვეთ თქვენ მგნებანი უფლისა ღვთისა თქვენას, რამელსა ესე მე გამგებთ თქვენ დღეს. (მეორე სჯ. 4, 2). ამის გამო ებრაელები საღვთო წერილის წიგნებს ინახავდნენ წმიდა-წმიდათაში; მღვდელთმთავარი დამთელი შობდება ლეგიტელთა იცადნენ საღვთო წერილის შემუშალვისაგან; ამ დაცვის ხელს უწყობდნენ წინასწარმეტყველნი, ღვთისგან გაბრძ-

ნობილი, მოსედამ დაწყებული ვიდრე მალაქიამდე. ეს წინასწარმეტყველნი და სხვა კეთილმსახური პირები მუდამ კითხულობდნენ და ათვლიერებდნენ საღვთო წერილს და უბეველად გაასწორებდნენ რამე შეცდომა რომ ენახათ.


ებრაელებში იყვნენ სწავლული კაცები სოფერამბეა; ამათ ზედამწევნით იცოდნენ საღვთო წერილი. ესენი დაწვრილებით სთვლიდნენ, რამდენი ასოა და სიტყვა მთლად საღვთო წერილში, ან თითოეულს წიგნში, რომელი ასო ან სიტყვაა პირველი, საშუალო და უკანასკნელი მთელს საღვთო წერილში და კერძოთ ყოველსავე წიგნში, რადენჯერ არის ნახშირი ესა თუ ის ასო, ან სიტყვა, ან სახელი მთლად საღვთო წერილში და თვითეულს წიგნში. ამ სწავლულებმა თითქმის ზეპირად იცოდნენ მთელი საღვთო წერილი.—საღვთო ტექსტის შეურყნვლად შესანახად თაღმუდის ტებმა მოიგონეს და შეადგინეს მრავალი დაწვრილებითი დარიგება დაწესება საღვთო წერილის გადამწერის შესახებ. მათ განმარტეს თუ რა ფორმისა და ზომის უნდა იყოს ეტრათი, რომელზედაც იწერება საღვთო წიგნები; ისინი არიგებდნენ გადამწერებს სიფრთხილით გადაეწერნათ წმ. წიგნები, არაფრით ერთმანეთში მსგავსი სიტყვები და ასოები. თანახმად თაღმუდისტების წესებისა და ბრძანებისა, წერის დროს სიტყვებს შუა უნდა დაეტევიან იმდენი ადგილი, რაზედაც დაეტევიდა ერთი ასო; ხოლო ასოებს შორის უნდა დაეტევიან თმის ბეწვის სიგანე ადგილი; თითო სტრიქონში უნდა ყოფილიყო უთუოდ 30 ასო; გადამწერად უნდა ყოფილიყო უთუოდ მორწმუნე ურია, წერაში დახელოვნებული; წერის დაწყებამდე გადამწერს უნდა ელოცნა, დასაწერი სიტყვა ჯერ უნდა ხმამაღლა წარმოეთქვა და შემდეგ დაეწერა; როცა ღვთის სახელის დაწერა შეხვდებოდა, ჯერ ხმა მალა უნდა წარმოეთქვა შემდეგ: „მე მსურს დაეწერო სახელი ღვთისა, რათა იქმნეს ესე მაღიბებლად ღვთისა“ და შემდეგ მოწიწებით დაეწერა წმიდა სახელი. თუ ეს სიტყვები ერთხელ მაინც არა სთქვა გადამწერმა, მაშინ მთელი ხელთნაწერი ითვლებოდა ღირსება და ფას მოკლებულად. ოცდა ათი ღვთის განმავლობაში შინჯავდნენ და ამოწმებდნენ ახალს ხელთნაწერს. სწავლულნი და თუ ორი ან სამი შეცდომა მაინც იყო შიგ,

მაშინვე სწვავდნენ. აი როგორი სიფრთხილით, მოწიწებით და მორიდებით ეპყრობოდნენ ებრაელები წმ. ტექსტს, რათა დაეცვათ იგი შეტყვისა და შებლაღვისაგან.*)

ყოველივე რაც შემოიღეს და გამოიგონეს სწავლულმა ებრაელებმა საღვთო ტექსტის დასაცველად შეადგენს ეგრედ წოდებულს მასოფსს, ანუ ზღუდეს, რომლითაც შეზღუდული იყო საღვთო წერილი. მასორეტები, ანუ ტექსტის სიწმიდის დამცველები ამ შენიშვნებს სწვრდნენ ტექსტის თავში ან ბოლოში ვრცლად, ამას ეწოდება დიდი მასორა; ტექსტის პირდაპირ ცარიელს ადგილზე იწერებოდა მოკლე შენიშვნები; ამას ქვია მცირე მასორა; იშვიათად ეს შენიშვნები ანუ მასორა იწერებოდა ცალკე წიგნადაც. ეხლანდელი ბექედური ებრაული დაბადება წარმოადგენს იმ ტექსტს, რომელიც შეასწორეს მასორეტებმა.

ყოველივე ზემო-ნათქვამიდან სჩანს, როგორი სიფრთხილით, მორიდებით, და მოკრძალებამოწიწებით ეპყრობოდნენ ებრაელები საღვთო წერილს და სცდილობდნენ მისს შეურყვნვლად შენახვას და მათდა საქებურად უნდა ითქვას, რომ მათ შეინახეს კიდევ რამდენადაც შეიძლებოდა ეს კაცთაგან, ასე რომ ეხლანდელი ებრაული ტექსტი საღვთო წერილისა ბევრით არაფრით განირჩევა იმისგან, როგორადაც ის გამოვიდა ღვთივ განბრძობილ დამწერთაგან.

(გაგრძელება იქნება).



საშინელი გაპირვება.

საშინელ ამბავს იწერებიათ ქალაქ არხანგელსკიდან, რომელიც სვეს უკიდურეს ჩრდილოეთში, ყინულიანი ზღვის პირად. იქ თურმე ბლომად არიან პოლიტიკური გადასახლებულები საქართველოდგან და ითმენენ აუტანელ გაკირვებას: ყინვა ოცს გრადუსს აღემატება ესლაც ზამთრის პირში, და შემდეგში ერთი ორად იმატებს, რასაკვირველია; და ამ საშინელს ყინვის დროს საქართველოს

*) სინოდალნი კანტორის ნაბეჭდ წიგნებს, რომ ასე მოქცეოდნენ, ნეტავი რა იქნებოდა?!..

შვილი მოკლებული არიან თბილს ტანსამოსსა და სასაფხულო ძველ ტანსამოსის ამარა დარჩენილნი. ვერა კალამი ვერ ასწერს იმ ტანჯვას, რომელსაც თურმე ითმენენ გადასახლებულნი. სავალალოდ, მისთანავე ტანჯვაში არიან სხვა ცივის ადგილებში გადახვეწილი ქართველები. რა დღია რიცხვი ამ ტანჯულთა, ცხადად ჩხანს დღეს გამოქვეყნებულ ცნობიდან: მარტო გენერალ-გუბერნატორის იაზიკოვის დროს ქუთაისის გუბერნიიდან გადასახლებიანთ სამი ათასი ქართველი (3000). ამას მიუმატებ ქუთაისის სხვა გენერალ-გუბერნატორების მიერ გადასახლებულნი, მერმე აღმოსავლეთის საქართველოდან გადასახლებულნი და თქვენ დარწმუნდებით, რომ გადასახლებულთა რიცხვი წარმოადგინს მრავალ რიცხოვანს არმიას, ჯარსა. ეს ჯარი შესდგება სულ რჩეულ ქართველ ყმაწვილ-კაცობისაგან, რომელიც იღიეთრმა ვატაყე-ბამ ვადატყორცნა თბილ სამშობლოდან ყინულიანს ქვეყანაში და ჩააგდო უკიდურეს ვაჭირვებაში.

მზრუნველის ხელის გაწვდენას, სწრაფად შემწვობის მიშველებას დაუყოვნებლივ მოითხოვს არა მარტო ელემენტარული კაცთ-მოყვარება, არამედ ეროვნული სიკეთეც. ეს საუკეთესო ყვმაწვილ-კაცობა რომ ხელიდან ყინვას არ გამოვტაცოთ, იგი ან ამოიკლიტება და ან სამშობლოში დაბრუნდება სრულიად დასნეულებული, ამას კი შედეგად მოჰყვება ერის ორგანიზმის შესუსტება.

რამდენისამე აღამიანის გულ-შემატვივრობა აქ საკმარისი არ არის. საჭიროა შესდგეს ორ-სამ დღეში განსაკუთრებული კერძო წრე, რომელსაც ერთად ერთი დანიშნულება ექნება: იხსნას საშინელის გაჭირვებისაგან ჩრდილოეთში გადასახლებული ქართველობა და მისცეს მას შეძლება, როცა გადასახლების ვადა გაუთავდებდა, და ჯანსაღად დაბრუნდეს თავის სამშობლოში. („ისარი“)

ი. კოკებაშვილი.

წამილი რედაქციის მიმართ.

მ. რეაქტორო.

უმორჩილესად გათხოვ ამ ორიოდე სიტყვას ადგილი დაუთმობთ თქვენ ჰატივერეზულ გამოცემაში-

მევენახეობა ერთი თვალსაჩინო დარგია სემო-ნიერლების მეურნეობაში: როდესაც ფილექსტრამ ვენახები მოსპო, აქ ნაშენის საშუალებით შეუდგენ ვენახების გაშენებას და ერთხანსე ვეფლას საქარის სასურგადან გამოჰქონდა ნაშენი. შემდეგში კი, როცა ამ სანერგემ ვეფლას შეადგელები ვერ დააკეთოთილა, განდენ კერძო სასურგებები, რომლის ჰატრენებს უფრო ვაჭრულა მიზანი ჰქონდათ და აჭესთ, ვინემ საზოგადო სარგებლობა. ამ სანერგეების წყალობით ბევრი სხვადასხვა ვიშის ვენახი გაურტყლდა ზენში, მაგრამ მალე სიყვალბემც იმინა თავი, რადგან ბევრი კარგად შეუსორტებულს და არეულ-დარეულ ვენახს უღდა. ისიც გამოვინა, რომ ნაშენად გასვლებინოსთ ისევე ჰგებებური დაფეგვიანებული ვაზი, რომელსაც რადან ეშმაკურად ნაშდევად ნაშენს ამსგავსებენ. ვეფლას ასეთი სიყვალბე დიად საზარალოა შევენახისათვის. ამასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ დღემდის ვეფლას უზარატყოსას ამდღეს რუჰესტრისზე დამენილ ნაშენს. ესეთივე ზარალი ვიყო მეც, რადგან რიზარაზე დამენილი ვენახი არ მქონია. წელს რამდენიმე ასეული ძირი ნაშენი მჭირებოდა და კიდევ ვიყოდე ბ. რაჟილ ნიკ. ჩიხლაძისაგან რიზარაზე დამენილი ძირი ორ შურად, თუმცა რუჰესტრისზე დამენილს ძირს 7 1/2 კაპეიჯად მასდევდა. მე თეთონ, რამდენათაც შეიძლებოდა, ბ. ჩიხლაძემ სიტყვებრად დამარწმუნა რიზარაზე დამენილი ვენახის უკეთესობაში, მაგრამ რადგან ამ საკითხის კარგად გამოთვლევას საზოგადო მნიშვრულსაგან აჭესთ, ამიტომ ვთხოვ ბ-ნ ჩიხლაძეს, როგორც გამოცდილს და არა მარტო კომერციული ზარათ კატატებულ შეურნეს, მევენახეთა საურადდებობთ გახუთის საშუალებით ვრცლად განმარტოს, თუ რაში მდგომარეობს უზარატყოსობა რიზარაზე დამენილი ვენახის რუჰესტრისისზე დამენილთან შედარებით?

მდგ. ს. ჭუმბურიძე.



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, მინგრელსკისა და საგლხოზო ბანკს მოლაპარაკება აქვთ თურმე პირველის მამულის ყიდვის შესახებ. ამ ცოტა ხანში შეუდგებიან თურმე ადგილების გამიჯნვას. მინგრელსკის მამული ხუთ მილიონ მანეთამდე ფასობს თურმე.

* * კიევის უნივერსიტეტში 17 ნოემბერს დიდი არეულობა მომხდარა. ერთად თავი მოუყარია 800-მდე სტუდენტს. უნივერსიტეტის მთავრობას მოუთხოვნია დაშლილიყვნენ, მაგრამ სტუდენტებს ყურადღება არ მიუქცევიათ. გამოუწვევიათ ერთი როტა ჯარი, პოლიციელთა რაზმი და კაზაკები და უნივერსიტეტის შენობაშიაც ალყა შემოურტყამთ. ჯარი და პოლიცია უნივერსიტეტის შენობაშიაც შესულან და კარიდორები დაუჭერია. 243 სტუდენტს ბილეთი წარუდგენია და განუთავისუფლებიათ, ხოლო ვინც ვინაობის თქმაზე უარი განაცხადა, დაუპატიმრებიათ და იქვე აუღიჯობებში მოუთავსებიათ, თანაც დაუწყიათ ჩხრეკა და აღმოჩენილთ რევოლვერები, ხანჯლები და აღკრძალი ლიტერატურა. სტუდენტები საშინლად ბრძანდნენ თურმე. მათ ჩასაჩუქებლად ჯარმა ბარბანს შეიპარათ. სტუდენტთა კრებაზედ 13 ქალიც რეულა. მთელი დამე პოლიცია უნივერსიტეტის შენობაში იყო. მეორე დღეს დაპატიმრებულები საპოლიციო ნაწილებში გადაიყვანეს.

* * ბერლინში პანკის ქუჩაზე აღმოჩენილი დიდი საწყობი რუსეთის ს.დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტისა. დაუჭერიათ 30 ფუთი ბროშიურა და გაზეთი რუსულ ენაზე, ორი ტილოს წინსაფარი კონტრბანდისტების სახმარი, 3 ოზმა თეთრი ქაღალდი, 2 ყუთი 14 რევოლვერით და 3000 პატრონი, ელექტრო.მატარი, რამდენიმე ასი რკინის ვინტი, თეთრი ქაღალდი მომზადებული გერმანიის დიდ ფაბრიკაში გაზეთ „ფორვერტსი“-ს ბუხალტერის გიუნზელის შეკვეთით. ეს ქაღალდი რუსულ ყალბ სამ მანეთიანის ვასკეთებლად ვარჯა თურმე. იარაღიც გერმანიის ფაბრიკაშია დამზადებული.

* * * ყოველი რუსი, რომელსაც კი დიდი თანამდებობის მიღება სურს უთუოდ ეცდება, რომ

პირველად საქართველოში წამოვიდეს. მოვლენ თუ არა საქართველოში მაშინვე პოლიტიკობას დაიწყებენ. საქაოა ზოგიერთებისათვის ორი წელიწადი, რომ თავი გამოიჩინოს პეტერბურგში და დიდი ადგილი მიიღოს და შემდეგ როგორი ადგილიც უნდა უთუოდ იზოვის. ამ აზრით მობრძანდა ჩვენში ბატონი ვოს—ი. ორ წელიწადში თავისი მადლური საქციელით საერო და სასულიერო მთავრობა მოხიბლა და ცოტა ხნის შემდეგ თითქმის პეტერბურგში დიდი ადგილი და გავლენა მოიპოვა. ბუნებას მიუცია მისთვის ერთი ნიჭი,—წირვის დროს ტირის ხოლმე და ამ ტირილით მოხიბლა ყველანი!..

დიდი ადგილი მიუცია ვოსტორგოვისთვის სინოდს. იგი დაუნიშნავსთ საეკლესიო სამრევლო სკოლების უმფროს მეთვალყურედ ნიენი ნოვგოროდის, ყაზანის, სამარის, სარატოვის, სიმბირის, ასტარხანის, პენზენის, ვიატკის, უფიმის, პერმის, ეკატერინბურლის და ორენბურლის ეპარქიებში. ამისთან სინოდს დაუნიშნავს სინოდის მისიონერად და მქადაგებლად, დაუტოვებია შტატგარედ წვერად მთავარ სამასწავლებლო საბჭოში, რომელიც არსებობს სინოდთან. მოსკოვიდან კი დაუთხოვიათ მისიონრობის და მქადაგებლობის თანამდებობიდან და დაუნიშნავთ სინოდის შვიდი კრების სახელობის ეკლესიაზე.

შემდეგ, მე ვგონებ, დაინიშნოს უმფროს მეთვალყურედ იმ სომხების საეკლესიო სამრევლო სკოლებში, რომელნიც შემოუერთეს მან და ექსარხოსმა ალექსიმე მართლმადიდებელ ეკლესიას ყარსისკენ გასეირნების დროს...

* * * ექსარხოსის განკარგულებით, 12 დეკემბრისთვის დაინიშნა ქართლ-კახეთის სამღვდლოების დელეგატთა კრება. კრებას უნდა დაესწროს თითო საბლაღოჩინოდან თითო დელეგატი. კრება მოხდება ძველ სემინარიის სადგომში. ექსარხოსის განკარგულებით, დელეგატებს გარდა კრებაზე დასწრების ნება არავისა აქვს. („ისარი“)

* * * ჩვენ გვეთხრეს, რომ ამბრეთის სამღვდლოებას მძარავი კრება დეკემბრის ოთხ რიცხვს არის დანიშნულიო. ძლიერ სამწუხარო არის რომ

სამღვდელოება ამ ბოლო დროს თავის კრებით იმდენს არას აკეთებს რასაც თავის მგზავრობაზე ხარჯავს...

რედაქციისაგან.

„მწვემისი“-ს ძიობის წევრებზე, 1907 წლის ხელის მოაწერლებზე, დასარიგებელი წიგნები უკვე დამზადებულია ეს წიგნები შეუძლიათ მიიღონ წევრებმა ამას წინათ აღნიშნული ადგილებიდან. სრული იმედია ასრულებენ ჩვენ ჟურნალზე ხელის მოაწერნი ამ წიგნების შემწირველთა სურვილს რის შესახებცა ჩვენ ვსწვრდით ამას წინათ.

50 КНИГЪ
4000 СТР.
4000 РСБ.

НАРОДНОЕ ЗДРАВІЕ
Серія популярно-научных
и медицинских книгъ.

Цѣна за 50
книгъ 5 руб.
съ достав. и
перес.

- 1) Половая жизнь женщины. Д-ра Кларуса.
- 2) Исторія естественной любви. М. Нордау.
- 3) Психологія поцѣлуя. Ломброзо.
- 4) Психологія женщины. Патрика.
- 5) О рожденіи дѣтей желаемого пола. Шенка.
- 6) Гигіена менструацій. Профес. Фюрста.
- 7) Болѣзни легкихъ. Профес. Эйгорсова.
- 8) Что такое чума? Очеркъ В-на.
- 9) Падучая болѣзнь. Профессора Говерса.
- 10) Этна половыхъ отношеній. Г. Спенсера.
- 11) Половая отравленія челоѣка. Стокгема.
- 12) Любовь. А. Шопенгауэра.
- 13) Эристика или искусство спорить. Его-же.
- 14) Гигіена цѣломудрія. Д-ра Корнига.
- 15) Алкоголизмъ. Профес. Бунге.
- 16) Астма. Профессора Брисео.
- 17) Какъ не толстѣть и какъ избавиться отъ дородства дѣтей. Д-ра Зальцштейна.
- 18) Норгъ, краснуха и вѣтряная оспа.
- 19) Морфизмъ. Профессора Вургордта.
- 20) Календаръ беременности. Д-ра Дедюлина.
- 21) Малая хирургія. Проф. Вольцендорфа.
- 22) Болѣзни желудка. Проф. Боаса.
- 23) Философія и гигиена ѣды. Проф. Вилоуса.
- 24) Исторія. Профессора Говерса.

- 25) Дѣтеныя болѣзни. Профес. Багинскаго.
- 26) Лечение кумысомъ и кефиромъ. Д-ра Бубиса.
- 27) Насморкъ и его лечение. Проф. Брезгена.
- 28) Лечение водой. Профессора Глакса.
- 29) Причины женскихъ болѣзней. Проф. Говица.
- 30) Геморрой. Признаки, причины, лечение.
- 31) Гигіена волосъ. Книга для всѣхъ.
- 32) Спина сухотна. Проф. Читидинга.
- 33) Болѣзни сердца. Профессора Лаиге.
- 34) Болѣзни почечъ. Проф. Сенатора.
- 35) Экзема и пчесуха. Проф. Вольфа.
- 36) Гигіена одежды. Д-ра Орлова.
- 37) Брюшной тифъ. Профес. Цимсена.
- 38) Физиологія челоѣка. Проф. Фредерика.
- 39) Южный берегъ Крима. Д-ра Орлова.
- 40) Среднероссійскіе курорты.—Старая Русса, Славянскъ, Друскеники, Липецкъ и др.
- 41) Діета при разстройств. желудка. Пр. Вольфа
- 42) Тучность. Профессора Ируста.
- 43) Гигиеническіе консервы и кондитерскія издѣлія Д-ра Орлова.
- 44) Лечение воздухомъ, лечение солнцемъ Пр. Кипа.
- 46) Гимнастика какъ методъ лечения. Д-ра Эфрузи.
- 47) Болѣзни зубовъ и полости рта. Проп. Шефа.
- 48) Скарлатина. Профессора Фирордта.
- 49) Болѣзни горла. Профес. Розенберга.
- 50) Свѣтолечение. Профессора Нильса.

Всѣ 50 книгъ вышли и высылаются подписчикамъ. Цѣна за всѣ 50 книгъ съ пересылкой 5 руб. Въ отдѣльной продажѣ книги стоятъ свыше 20 р. Требования адресовать: контора „НАРОДНАГО ЗДРАВІЯ“ С.-Петербургъ, Троицкая ул.; 11.

შ ი ბ ა ა რ ს ი

სალიტერატურო განმეოვილება: ყოვლად სამღვლო ეპისკოპოსი ალექსანდრე.—სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.—ბოროტი მევენახეები, (მღ. გ. პეტროვის თხზულებიდან) თარგმ. მღ. ი. ლუკიანოვისაგან.—სახოვადო ცნობანი საღვთო წერილის შესახებ.—საშინელი გაკირვება. ია. გოგებაშვილის.—წერილი რედაქციის მიმართ, მღ. ს. ტუმბურთის.—ახალ იამბები და შენიშვნები.—რედაქციისაგან.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე, 30 ნოემბერი, 1907 წ.

სუბაბა ჟურნალის „მწვემისი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ბ. დამაშვიძის) ყვირილა საკუთარ სახლში.